ხელშეკრულება №29

ოზურგეთი,ნატანები, შეკვეთილი 8 ივნისი 2022წელი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია Ш.პ.ს. “სერვისი-7”, რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის ქ-ნ ნინო ჩხაიძის სახით (შემდგომში -„შემსყიდველი“) ერთის მხრივ და Шპს , გურია ენერჯი -ს დირექტორის ქ-ნ მეგი კომახიძის სახით ს/კ437059692 (შემდგომში - „შემსრულებელი“) მეორეს მხრივ,

ხელშეკრულების ტექსტში მოხსენიებულნი, როგორც „მხარე” ან ერთობლივად როგორც, „მხარეები”, ვეყრდნობით რა თანასწორუფლებიანობის, კანონიერების, ნებაყოფლობითობისა და პარტნიორობის პრინციპებს, გამარტივებული შეყიდვის საშუალებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულება მიზნად ისახავს Шპს ,,სერვისი-7"-ის 35/10კვ ქვესადგურის და მასთან დაერთებული 10/04კვ ორი გამანაწილებელი სადგურის დიაგნოზირება შეკეთებას აღდგენა. (CVP 5050000 – 8658 (რვათასექვსასორმოცდათვრამეტი) ლარი.

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი და გადახდის პირობები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 8658 (რვათასექვსასორმოცდათვრამეტი) ლარი. შესრულებული სამუშაო და დეტალური ხარჯები მითითებულია ფორმა №97-ში, რომელიც წარმოდგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს სახელშეკრულებო თანხა შემდგომ ცვლილებას არ ექვემდებარება.

2.2 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1 „შემკვეთი“ ვალდებულია:

3.1.1. მიიღოს განხორციელებული მომსახურეობა და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზგვრულ ვადებში.

3.2. შემკვეთის უფლებები:

3.2.1. შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელი შესრულება

3.2.3. შემსრულებელი ვალდებულია ჩააბაროს დამკვეთს შემსრულებელს სამუშაოები მიღება ჩაბარების აქტით.
3.2.4. მოსთხოვოს შემსრულებელს სამუშაოების შესრულების პროცესში ან/და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ექვსი თვის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა უსასყიდლოდ და შემკვეთის მიერ დადგენილ ვადაში.

4. შემსრულებელი ვალდებულია:

4.1. მაღალი ხარისხით და დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

4.2. შემსრულებელს უფლება აქვს:

4.2.1. მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

4.2.2. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

5. მხარეების პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისად.

5.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსრულეებელი შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის დროულად განუხორციელებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულების 0,1%-ს სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.3. შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისთვის იგი შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ს ყოველი გადაცილებული დღისათვის.

5.4 მხარეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების პირობების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.5 პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

5.6. შემსრულებლის მიერ ხელსეკრულების პირობების შესრულების პროცესში მისი ან მასთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ ნებისმიერი პირის მიმართ წარმოსობილი მატერიალური ზარალისა და ფიზიკური ზიანისათვის მთლიანად პასუხისმგებელია შემსრულებელი.

6. შესრულებული სამუშაოს და მასალებზე გარანტია

6.1. შემსრულებელი იძლევა შესრულებული სამუშაოს და მასალების გარანტიას მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში.

6.2. საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ყველა ნაკლს აღმოფხვრის შემსრულებელი თავისი ხარჯებით და შემკვეთის მიერ დადგენილ ვადაში.

6.3. შემსრულებლის პასუხისმგებლობა საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრაზე გამოირიცხება თუ ხარვეზი გამოწვეულია ექსპლუატაციის წესების დარღვევით ან/და დაუშვებელი მექანიკური ზემოქმედებით.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

7.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

7.3. შემკვეთს უფლება აქვს, მპმსახურების განხორციელების დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს განხორციელებული მომსახურების ღირებულება.

7.4. შემსრულებელს შეუძლია მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება. გარდა იმ სემთხვევისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელსეკრულების პირობების სეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას, რომელიც ქარ არის დაკავშირებული „დამკვეთის" და „შემსრულებლის" შეცდომებსა და დაუდევრობაზე.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დმდებმა მხარემ, რომლისათვის შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრიდან წერილობით პასუხს იგი თავის სეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და სესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების გამონახვის ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისგან.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები.

10.1. ის ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მოწესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10.3. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, სრულდება ქართულ ენაზე.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც განკუთვნილია ხელსეკრულების მონაწილე მხარეტათვის.

მუხლი 8. მხარეთა იურიდიული მისამართები (რეკვიზიტები)

„შემსყიდველი“

შ.პ.ს. “სერვისი-7”
იურიდიული ადგილსამყოფელი:
ოზურგეთი,ნატანები,შეკვეთილი

საბანკო რეკვიზიტები:
სს „ბანკი ქართუ“
ა/ა GE49CR0150009200013402
ბ/კ-CRTUGE22

ს/კ-204532899

/ნ. ჩხაიძე/

Nino Chkhaidze
Подписано цифровой подписью: Nino Chkhaidze
Дата: 2022.06.08 16:17:24 +04'00'

„შემსრულებელი“

შპს „გურია ენერჯი"
იურიდიული ადგილსამყოფელი:
: ოზურგეთი გია გოგუაძის #20,

ს/კოდი *437059692*
ა/ა *GE49TB7733036080100004*
სს„ტერა ბანკი“

მ. კომახიძე

Megi Komakhidze 62001031885
Digitally signed by Megi Komakhidze
Date: 2022.06.08 23:25:51

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ოზურგეთი, სოფ. ნატანები, შეკვეთილი 08.06.2022 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა შპს „სერვისი-7“-ის მიერ შპს ,,გურია ენერჯი" -სთან 2022 წლის 8 ივნის გაფორმებული №29 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

შპს „სერვისი-7“	შპს „გურია ენერჯი"
დირექტორი: ნ. ჩხაიძე	დირექტორი: მ. კომახიძე

Nino Chkhaidze

Подписано цифровой подписью: Nino Chkhaidze
Дата: 2022.06.08 16:17:49 +04'00'